ბორჯომის
მუნიციპალიტეტის მერია
BORJOMI MUNICIPALITY
CITY HALL
ტელ/TEL: (+995 367) 22 33 55 / 22 44 99

ბრძანება:**ბ16. 162424213**

თარიღი:**29/08/2024**

საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის სსიპ-ის თანამშრომელთა სახელმძღვანელო წესის დამტკიცების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ა“ პუნქტის ,,ა.ა“ ქვეპუნქტის და ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის და სსიპ-ის თანამშრომელთა სახელმძღვანელო წესი, წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული დანართის სახით.
2.დაევალოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახური ხელმძღვანელს, უზრუნველყოს მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელთა ინფორმირება, აღნიშნული წესის დამტკიცების თაობაზე.
3.**ძალადაკარგულად** გამოცხადდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის **06.08.2021** წლის **ბ16.16212186** ბრძანება, წინამდებარე ბრძანების ხელმოწერისთანავე.
4.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

ოთარ არბოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი